

სამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ქართული და ევროპული  
სამართლის მიხედვით

ანი სუხიტაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ერეკლე კალატოზიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი სუხიტაშვილი

01.07.2020

## აბსტრაქტი

**შესავალი:** ვინაიდან, სამუშაოს შესრულება პირდაპირკავშირშია დასაქმებულის უსაფრთხოებასთან, ჯანმრთელობასთან, პირად ცხოვრებასთან, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასთან, აუცილებელია, შრომის კანონმდებლობამ მოახდინოს სამუშაო დროის რეგულირება. შესაბამისად, საკვლევი თემა ეხება სამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს რეგულირების ასპექტებს ქართული და ევროპული სამართლის მიხედვით. საკვლევი თემიდან იკვეთება რამდენიმე პრობლემური საკითხი, კერძოდ, ნორმირებულ სამუშაო დროსა და სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოს სამუშაო დროის ხანგრძლივობა. ასევე, ზეგანაკვეთურ სამუშაოს რეგულირების შესწავლისას გამოიკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი ხარვეზები, როგორებიცაა ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ზედა ზღვარის დაუდგენლობა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ბუნდოვანი და დაუკონკრეტებელი ოდენობა. ნაშრომში საუბარი იქნება შრომის პირობების ზედამხედველობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და იმ ხარვეზებზე, რაც თან ახლავს დარღვეული უფლების აღდგენის პროცედურებს. ნაშრომში გამოიკვეთა ის გამოწვევები და ვალდებულებები, რომლებიც საქართველოს ნაკისრი აქვს ასოცირების შეთანხმების საფუძველზე. კერძოდ, განხილული იქნება 2003/88/EC დირექტივისა და საერთაშორისო სტანდარტის ჭრილში.

**მეთოდოლოგია:** კვლევა განხორციელდა სისტემური ანალიზის მეთოდის, შედარებითი ანალიზის მეთოდის, აღწერილობითი და ლოგიკური ანალიზის მეთოდის საფუძველზე.

**შედეგები:** უნდა მოხდეს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა შრომით სფეროში. დასაქმებულის ინტერესების დასაცავად უნდა განისაზღვროს სამუშაო დროის ხანგრძლივობის მაქსიმალური ოდენობა ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ჩათვლით. ასევე, აუცილებელია, გაიწეროს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობა, რომელიც არ უნდა იყოს ILO-ს მიერ განსაზღვრულ ზღვარზე ნაკლები. ბალანსის დასაცავად საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა მოხდეს შრომით ურთიერთობებში და გაიზარდოს სახელმწიფო ზედამხედველობის არეალი, რომელიც მოიცავს შრომის კანონმდებლობის არა მარტო კონტროლს, არამედ აღსრულებასაც. ასევე, გამოიკვეთა,

რომ საქართველოს რიგი ვალდებულებები აქვს შესასრულებელი ასოცირების შეთანხმების საფუძველზე სამუშაო დროის გარკვეული ასპექტების რეგულირებისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების კუთხით. **დისკუსია/დასკვნა:** ნაშრომში საუბარი იყო საკვლევ საკითხებზე, გამოიკვეთა, რომ სამუშაო დროსა და ზეგანაკვეთურ სამუშაოს რეგულირების კუთხით საქართველო არა ერთი პრობლემის წინაშე დგას, რაც საჭიროებს დახვეწას და შესაბამისობაში მოყვანას ევროპულ სტანდარტებთან. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები და მოხდეს 2003/88/EC დირექტივის იმპლემენტაცია, რისთვისაც სულ უფრო ცოტა დრო რჩება. **ძირითადი საძიებო სიტყვები:** სამუშაო დრო, ზეგანაკვეთური სამუშაო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, შრომის ინსპექცია, ასოცირების შეთანხმება, 2003/88/EC დირექტივა.

## Abstract

**Introduction:** Since the performance of work is directly related to employee safety, health, personal life, physical and mental development, it is essential that labor legislation regulates working hours. Accordingly, the research topic deals with the aspects of working time and overtime regulation according to Georgian and European law. There are several problematic issues, namely, the normal working hours and the length of time of the enterprise with a specific work regime. Also, during research of the overtime work regulation, there are some significant unregulated issues such as the upper limit of overtime working hours and unspecified amount of overtime compensation. The research will discuss the problems related to the inspection of working conditions and the shortcomings that accompany the procedures for restoring the violated right. The research highlights the challenges and obligations that Georgia has under the Association Agreement. In particular, it will be discussed in terms of Directive 2003/88 / EC and the International Standards. **Methodology:** The research was based on the systematic analysis method, comparative analysis method, descriptive and logical analysis method. **Results:** The legislative act of labors should be improved. In order to protect the interests of the employee, the maximum amount of working time should be determined, including overtime. It is also necessary to regulate the amount of overtime compensation, this should not be less than the standard which is based by the ILO. To maintain the balance, it is necessary to intervene in labor relations and increase the area of state supervision, which includes not only control, also enforcement of labor legislation. It is also noted that Georgia has a several obligations under the Association Agreement to regulate certain aspects of working hours and overtime compensation. **Discussion / Conclusion:** The research discussed following issues, revealed that Georgia has many problems in terms of working hours and overtime regulation, which requires to approximate European standards. It is important to make legislative changes and implementation the 2003/88 / EC directive, for which there is less and

less time left. **Keywords:** working hours, overtime work, overtime pay, labor inspection, association agreement, directive 2003/88 / EC.